

1912-1913 წლებში რუსეთსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი
სტუდენტების პოლიტიკური იდენტობები

თინათინ აბულაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე, ასოცირებული პროფესორი; ოლივერ
რაისნერი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ აბულაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის მიერ 1911–1913 წლებში ჩატარებულ კვლევას „რუსეთსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სტუდენტების ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად“. წარმოდგენილი მონაცემები არის მე-20 საუკუნის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული ხასიათის მასალა ქართველი სტუდენტების წოდებრივი, ოჯახური, ფინანსური მდგომარეობის, განათლების, სამოქალაქო აქტივიზმისა და პოლიტიკური არჩევანის შესახებ. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები არ არის დამუშავებული თანამედროვე სტატისტიკური პროგრამებით.

მიზანი: ნაშრომის მიზანია ი. ჯავახიშვილის მიერ 1912-1913 წლებში კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება, მეორეული ანალიზი და დასკვნების გაკეთება. კვლევის ძირითადი საკვლევი საკითხია იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე საგანმანათლებლო ინსტიტუტის გავლენის შესწავლა.

მეთოდი: კვლევის სამიზნე ჯგუფის, 1912-1913 წლებში რუსეთსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სტუდენტების განხილვა მოხდება როგორც ისტორიული პირების საერთო მახასიათებლების მიხედვით, ასევე მათი ცხოვრების კოლექტიური შესწავლით. სამაგისტრო ნაშრომში ი. ჯავახიშვილის მიერ 1911–1913 წლებში მოპოვებული რაოდენობრივი ინფორმაცია, კერძოდ, 763 ანკეტა, სტატისტიკურად დამუშავებულია სხვადასხვა ცვლადის მიხედვით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია ორი კვლევის მეთოდი, ესენია: მეორადი მონაცემების ანალიზი და ისტორიული კვლევის მეთოდი.

შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ 1912-1913 წლებში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტების უმრავლესობა მხარს უჭერს სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას, შესაბამისად, საგანმანათლებლო ინსტიტუტი და ქვეყანა გავლენას არ ახდენს პოლიტიკური იდენტობის ფორმირებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართველი სტუდენტები საზღვარგარეთ, პოლიტიკური იდენტობა, პოლიტიკური არჩევანი, პროსოპოგრაფია.

Abstract

A Master's thesis is based on the research conducted by Ivane Javakhishvili between 1911-1913 - "Everyday life of Georgian students at Russian and foreign University ". The presented data is one of the first scientific studies of Georgian students in 20th century regarding their social class, family, financial position, education, civil activism and political affiliation. Data that was collected by Javakhishvilis are not processed by modern statistic program.

Aim: The aim of the following research is to study, process, make secondary analysis and conclusions about I. Javakhishvili's data between 1912-1913. The research question is to study the influence of educational (university) impacts on political identities formation in Georgian students in Russia and abroad 1911-1913.

Method: Research target group is made up of Georgian students, as a prosopography into the common characteristics of a group of historical actors by means of a collective study of their lives, who were living in Russia and abroad between 1912 and 1913. Quantitative data, 763 questionnaires – which was obtained by Ivane Javakhishvili in 1911-1913 - is statistically developed according to different variables. Two research methods are used in this study due to the research aim of: 1) Secondary data analysis and 2) Historical research method.

Results: Research revealed the majority of the Georgian students who were studied abroad supported the Socialists – Federalist political party between 1912-1913. According to this, educational institutions and the country of residence do not influence the formation of political identity.

Key words: Georgian students abroad, Political identity, Political choice, Prosopography

მადლობა

განსაკუთებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ანა კირვალიძეს, ვინც ინფორმირებული გამხადა ი. ჯავახიშვილის კვლევის არსებობის შესახებ. ასევე მადლობას ვუხდით როგორც ქალბატონ ანას ასევე, ჩემს თანახელმძღვანელს ბატონ ოლივერ რაისნერს ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარების, რელევანტური რჩევებისთვის და თანადგომისათვის.